მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო– საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №9

ქ. მარტვილი 21 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე, დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ მელიავა, ლევან სურმავა, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, სერგი ფაცაცია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია და მიხეილ ნაჭყებია. ასევე სხდომას ესწრებოდნენ ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ,სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მელიავა.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ დღის წესრიგი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4.,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

კომისიის წევრებმა კითხვები დაუსვეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას, აღნიშნული საკითხის ირგვლივ ბონდო თოფურიამ გააკეთა ვრცელი მიმოხილვა რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 5. წინააღმდეგი 2.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

2-ე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს 2: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

კომისიის წევრებმა კითხვები დაუსვეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ს ბონდო თოფურიას.

ბონდო თოფურიამ, კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განმარტებით ბარათი, 2024-2027 წლების პრიორიტეტების

დოკუმენტები, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ-ების შემოსულობების გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული და ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანოების ნუსხა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 4. წინააღმდეგი 2. თავი შეიკავა1. და ერთმა მხოლოდ რეგისტრაცია გაიარა.
საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად კომისიის თავმჯდომარემ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და ხმების თანაბრად გაყოფის გამო მიიღო გადაწყვეტილება ხმა მიეცა მომხრეთა სასარგებლოდ, აქედან გამომდინარე
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
3-ე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.
მოისმინეს 3: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ რის შემდეგაც
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 4. წინააღმდეგი 2. თავი შეიკავა1. და ერთმა მხოლოდ რეგისტრაცია გაიარა.
საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად კომისიის თავმჯდომარემ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და ხმების თანაბრად გაყოფის გამო მიიღო გადაწყვეტილება ხმა მიეცა მომხრეთა სასარგებლოდ, აქედან გამომდინარე

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

4-ე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს 4: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ რის შემდეგაც

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა .,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 4. წინააღმდეგი 2. თავი შეიკავა1. და ერთმა მხოლოდ რეგისტრაცია გაიარა.

საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად კომისიის თავმჯდომარემ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და ხმების თანაბრად გაყოფის გამო მიიღო გადაწყვეტილება ხმა მიეცა მომხრეთა სასარგებლოდ, აქედან გამომდინარე

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მელიავა